572
1957

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლილა

„აუკაუდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

№ 2 საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალი მცირეწლოვანთათვის თებერვალი 1957

მინა

ქ. ჭილაშვილი
დ. ვადაჭკორია

ნახატები ქ. მახარაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგლასა და ზურას იღლიაში ცარიელი ბოთლები ამოეჩარათ და გამალებით მიეშურებოდნენ იმ მხარეს, საიდანაც ძია გიგოს ხმა მოესმათ: „ბატიბუტი ბოთლებზე, ბატიბუტი!“

ბიჭები სულ სირბილით ჩავიდნენ შარა გზაზე, მაგრამ ძია გიგოს თვალიც ველარ მოჰკრეს. დაღონდნენ ბიჭები, ბოთლები მიწაზე დაალაგეს და თვითონაც დასასვენებლად ჩამოსხდნენ.

— მოდი, ზურაბ, შენ ეს ბოთლები ჩამოამწკრივე, მე კი კენჭებს დავაგროვებ და მიზანში ვესროლოთ,—გაუნაწილა საქმე გიგლამ.

— ძია გიგო რომ გამოჩნდეს? — შეეკითხა ზურაბი.

— დღეს აღარ გამოჩნდება, ხვალისათვის კი სხვა ბოთლები შევაგროვოთ. ვნახოთ ერთი, როგორი მიზანი იცი, ძალიან რომ ტრაბახობ ხოლმე!

— კარგი, ეგრე იყოს!—დაეთანხმა ზურაბი გიგლას და ბოთლების ჩამწკრივებას შეუდგა.

ჰახ-ჰახ-ჰახ!.. — იმტვრეოდა მიზანში ამოღებული ბოთლები.

— აკი ტრაბახი ხარო?! — თავი მოიწონა გიგლამ.

— ოჰო, შენც ისე მოგაქვს თავი, თითქოს მგლები დაგეხოცოს, დიდი ამბავი!— განგებ თქვა ზურაბმა, რადგან თვითონ რამდენჯერმე ააცდინა მიზანს.

— ბოთლების დალეწვა მართლაც არ არის დიდი საქმე!—ჩაერია ლაპარაკში გზად მიმავალი ძია კოტე.

— ჩვენ არ ვთამაშობთ, მიზანში სროლას ვსწავლობთ,—თავი გაიმართლა გიგლამ.

— თქვენ რომ კარგი ვაჟკაცები დადგებით, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ რატომ დაამტვრიეთ ბოთლები? — უსაყვედურა ძია კოტემ.

— ბოთლი რა დასანანია, ბოთლების მეტი რა გვაქვს სახლში?—უდარდელად თქვა გიგლამ.

— შუშის ქარხანაც აქვე არ არის?— დაუმატა ზურაბმა.

— ყოფილხართ შუშის ქარხანაში? იცით, რამდენი შრომა და დრო სჭირდება ამ ბოთლების დამზადებას? — შეეკითხა ძია კოტე.

— არა, ჩვენ იქ ვინ შეგვიშვებს!

— აბა, ერთი ეს ნამტვრევები ქუდებში მოაგროვეთ და წამომყევით!

ბიჭებმა გაოცებით შეხედეს ერთმანეთს, მერე უხმოდ აკრიფეს ნატეხები და უკან გაჰყვნენ.

— გიგლა, მგონი, მილიციაში მივყავართ,—გადაუჩურჩულა ფერდაკარგულმა ზურაბმა.

— მილიციაში არა!.. ვანოს მამა მილიციელი არ არის, რომ ერთი ბოთლიც აღარ გადაურჩა ვანოს?—დაამშვიდა გიგ-

ლამ ზურაბი, თუმცა თვითონაც შეფიქრიანდა.

კარგა მანძილი გაიარეს და ბოლოს შუშის ქარხნის ეზოში შევიდნენ.

— ნამდვილად დაგვსჯიან! სულ შენი ბრალია! — მუჯლუგუნი გაჰკრა გიგლამ ზურაბს.

— ნატეხები აი, აქ დაყარეთ! ამას ხელახლა გავალღობთ სილასთან ერთად და ისევ ბოთლებს ჩამოვასხამთ, — მიუთითა ძია კოტემ შუშის ნატეხების დიდ გროვაზე, მერე ბიჭებს ხელი ჩაჰკიდა და საამქროსაკენ წაიყვანა.

გამაყრუებლად გუგუნებდნენ და ქშინავდნენ გავარვარებული ღუმელები. ხანძარივით ელვარე ცეცხლს გაოცებით შეჰყურებდნენ გიგლა და ზურაბი.

ბიჭებმა ყურებზე ხელი მიიფარეს, ალმურს სახე მოარიდეს.

— რა ვეებერთელა აბაზანებია! — შესძახა გიგლამ.

ცეცხლგამძლე აგურის აბაზანებში ფაფასავით თუხთუხებდა და იხარშებოდა გასუფთავებული თეთრი სილა; აბაზანის მეორე მხარეს ღარის ქვეშ იდგა ვეებერთელა კეცი და შიგ აბაზანიდან თაფლივით იღვრებოდა გალღობილი მინა. ძია კოტემ ბიჭები საამქროს სიღრმეში შეიყვანა.

— კარუსელი, ზურაბ! — თვალი მოსტაცა გიგლას ბოთლების ჩამომსხმელმა მანქანამ, რომელიც მართლაც კარუსელივით ტრიალებდა.

— ისე არ ჩაჰკრავს ხოლმე ხელს, როგორც შენ ცხელ ფელამუშში იცი? — გაახსენა ზურაბმა გიგლას.

ბავშვები წელში მოიხარნენ, რომ უკეთესად დაენახათ, როგორ იტაცებდა დროდადრო მანქანის ჩამჩა გამდნარ მინას.

— ამას მკვებავი ჰქვია! ეს აწვდის ყალიბებს მინას. ყალიბში მინა ჯერ ღეროს ფორმას იღებს, მერე დაიბერება და აჰა, ხომ ხედავთ, ბოთლიც მზად არის!

— რა ლამაზებია! — გაოცებით შესცქეროდნენ ბიჭები გავარვარებულ წითელ ბოთლებს.

+269

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენოდენა ვიყავი, ამ ქარხანაში მუშაობა რომ დავიწყე, — მიმართა მათ ძია კოტემ,— ძნელი იყო მაშინ აქ შრომა, მინის დამბერად ვმუშაობდი... გრძელი ღეროთი ჩვენ თვითონ ამოგვქონდა გალღობილი მინა და სტვირივით ვბერავდით თითოეულ ბოთლს.



კონვეიერიდან მუშა ქალი რკინის საკეცით ფრთხილად იღებდა რამდენიმე ბოთლს და ახლა მეორე მხარეს სხვა ღუმელში ალაგებდა.

— ეს ღუმელები რაღა საჭიროა?— დაინტერესდნენ ბიჭები.

ძია კოტემ კონვეიერიდან დაწუნებული ბოთლი გადმოიღო და მაშა ... .

— როგორ გაიჭყლიტა! — სიცილი მოერიათ ბიჭებს.

— ყალიბიდან ახლად გამოსული ბოთლი რბილია, ხომ ხედავთ, როგორ გავარვარებულია. თუ თანდათანობით არ გავანელეთ, ადვილად დაიმტვრევა. ამისათვის ალაგებენ მეორე ღუმელებში, რომ თანდათან გაცივდეს.

— ენა ვერ მოსთვლის, რამდენი რამ შეიძლება დამზადდეს მინისაგან. აბა, თქვენ რას დამისახელებთ?—მიუბრუნდა ბიჭებს ძია კოტე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჭიქები! წყლის სურა!—წამოიძახეს ბიჭებმა.

— დედამ ქვაბიც იყიდა, ცეცხლგამძლეაო, რძის ასადუღებლად ვხმაროობთ!— გაიხსენა ზურაბმა.

— მინისაგან ბევრნაირი ჭურჭელი მზადდება. აი, პერანგებიც რომ გაცვიათ



ისიც მინისაგან არის დამზადებული!

ბიჭებმა ეჭვით შეხედეს ძია კოტეს.

— დაუჯერებელს არაფერს გეუბნებით! თვალით შეუმჩნეველ მინის ძაფისაგან მზადდება ათასნაირი ქსოვილი, უფრო მეტიც: მინა ერთ-ერთი გამძლე საამშენებლო მასალაა.

გავა არც ისე დიდი დრო და შეიძლება თქვენ თვითონ ააგოთ მინის ხიდები, სახლები, და ხის ავეჯს მინის ავეჯი ამჯობინოთ.

არ ეთმობოდათ ბიჭებს საამქრო, ძია კოტე კი ჩქაროობდა,—მალე მეორე ცვლა იწყებდა მუშაობას.

მამაჩემი ჯარის ოფიცერი არის

მამაჩემი ჯარის
ოფიცერი არის.
შვენის ფართო მხრები,
მხრებზე—ვარსკვლავები.
რა ვქნა, თუკი მამას
წელამდეც ვერ ვწვდები.
როცა დილით ვხვდები,
ფეხის წვერზე ვდგები,
ხელს მივიტან ქუდთან,
ისე ვესალმები.

თ. ჯანგულაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ხმაური ისმის

ვ. ბორგანელი ნახატი ბ. ჩირინაშვილისა

ეს რა ხმაურია,
რა ეიჟინა ისმის?
შეხეთ, ბაღის ბოლოს
აშენებენ წისქვილს.
— ჩახა-ჩუხი!—ძმიმედ
გაიძახის ცული.
ბირდაბირმა ლამის
გააურუოს ეური.

შალაშინი ფიცარს
ასწორებს და ქშინავს.
ბურბუშელა სწრაფად
მაღლიდან ძირს ფრინავს.
ნოდარი და სოსო
აუენებენ ბოძებს,
მავთულების გაბმით
ბოძებს დათა მოსდევს.

სადაც არის წისქვილს
ააგებენ მალე
და ხმაური მისი
სოფელს გაახარებს.
დენი სად აქვთ, ხედავ?
მთის ძირს კოხტად მდგარი,
დააკვირდი კარგად,
ელსადგური არის.
აღარ უნდა წუალი
და არც არხი გრძელი,
დააბრუნებს წისქვილს
ელსადგურის დენი.

მ. თომაძე

ნახატები რ. ცუცქირიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრიკო

სამ დღეს ჩუმად იწვა სანდრიკო, დიდი სიცხე ჰქონდა. როცა გამომჯობინდა, მიიხედ-მოიხედა, ყველაფერი ყურადღებით შეათვალიერა. ოთახში მის გარდა კიდევ ოთხი ბიჭი იწვა.

ხედავს სანდრიკო, რომ მასზე დიდ ბიჭებს საავადმყოფოში დედები ადგათ თავზე. ის კი მარტოა.

სანდრიკოს საწოლი ფანჯარასთან ახლოს დგას. ცოტა მოშორებით ვოვას საწოლია, მერე თემურისა; მოპირდაპირე მხარეზე კი რაჩიკას და ბუბუს საწოლებია ჩამწკრივებული. ბუბუს ნამდვილი სახელი ნოდარი ჰქვია, მაგრამ სულ ბუ-ბუ-ბუ-ს იძახის, ვითომ მატარებელი ვარო, და ბავშვებმა ბუბუ დაარქვეს.

— დედა, წყალი მინდა, — ხშირად ესმის სანდრიკოს.

— დედა, მურაბა მინდა!

— დედა, მეც მინდა წყალი! — სტაცა კაბაში ხელი თემურის დედას სანდრიკომ.

— დედა, წიგნი მომეცი! — სთხოვა რაჩიკას დედას.

— დედა, მურაბა მეც მინდა! — შეეხვეწა ვოვას დედას სანდრიკო.

— დედა, მეძინება! — წაავლო მან ხელი თეთრხალათიან მორიგე ექიმს.

ბავშვები გაიბუტნენ.

— ეს როგორი ბიჭია? — ბუზღუნებენ ისინი, — ყველას დედას ეძახის, ლამის დედა წაგვართვას.

დილით ყველაზე ადრე სანდრიკო იღვიძებს. ფანჯარაში შემოსულ მზის სხივებს ეთამაშება, კედელზე ხელებს უცაცუნებს.

— დედა, დედა, შეხედე! — ამბობს ის, და ყველა დედა, ვისაც კი მისი ხმა ესმის, ღიმილით უახლოვდება. მალე სხვა ბიჭებიც იღვიძებენ.

— დედა, ხალათი სად არის?— კითხულობს თემური.

— დედა, ფეხსაცმელები ჩამაცვი!—ყვირის რაჩიკა.

— დედა, წინდები ვერ ვნახე!— იბუტება ვოვა.

უკვირს პატარა სანდრიკოს, ამოდენა ბიჭები—თემური, რაჩიკა, ვოვა—დედას სთხოვენ ფეხსაცმლის ჩაცმას, თვითონ ვერ იცვამენ, ყველაფერს დაეძებენ.

— აბა, შეხეთ სანდრიკოს, როგორ უვლის თავის თავს,— ეუბნება ბიჭებს თემურის დედა,—საღამოთი ფეხსაცმელს და ტანსაცმელს საწოლთან ახლოს სკამზე აწყობს. დილით თვითონ იცვამს წინდებს და ფეხსაცმელს. ბიჭიც ასეთი უნდა!

— პროფესორი მოდის! – გაისმა ძიძის ხმა. დაფაცურდნენ პატარა ავადმყოფები: ბალიშები და საბნები შეისწორეს. სანდრიკოც არ ჩამორჩა სხვებს. ბალიში მისწი-მოსწია, საბანიც გადაიხურა.

— ყველანი აქა ვართ, ყველანი მზადა ვართ! – ახმაურდნენ ბავშვები. სანდრიკო კი განაბულა, ხელები თავქვეშ ამოუდვია, თვალებს კარისაკენ აცეცებს.

შემოდის პროფესორი და თან მოჰყვებიან ექიმები. ხედავს სანდრიკო, რომ პროფესორის თხოვნაზე:

— აბა, გააღე პირი! აბა, ყელი მაჩვენე! — ბიჭები იშმუშნებიან, კრუსუნებენ. თვალებს ისე აჭყეტენ, თითქოს თავებს სჭრიანო. როცა მისი ჯერი დადგა, ვაჟკაცურად გასწორდა, პირი დააღო, თავიც ზევით ასწია. ყურზე თვითონ ვე წაივლო ხელი და ექიმისაკენ გასწია. პროფესორმა მილი რომ დაადო, გოჭივით გაიტრუნა.

— ეს რა ყოჩალი ავადმყოფია! —შეაქეს ექიმებმა სანდრიკო.

ცოტა ხნის შემდეგ ექიმის თანაშემწე შემოვიდა; ახლა ნემსი უნდა გაგიკეთოთო,—უთხრა მან ბიჭებს.

— ვაიმე, ვაიმე, გვეტკინება, — აკრუსუნდნენ ისინი.

— ექიმო! თუ ჩემი ხათრი გაქვთ, ნემსი არ გამიკეთოთ, — ეხვეწება თემური.

— მეშინია, არ მიჩხვლიტოთ,—ალრიალდა რაჩიკა.

— ჩემს მაგივრად დედას გაუკეთეთ ნემსი,—იცრემლება ვოვა.

ნეტავ რად ეშინიათ?—ჩუმ-ჩუმად ათვალიერებს ყველას სანდრიკო.

როცა მისი ჯერი დადგა, გვერდზე გადატრიალდა, ნემსი ისე გაიკეთა, წარბიც არ შეუხრია.

— ეს რა კარგი ბიჭია! — მოეფერა მას ექიმი.

ოთახში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა და იკითხა:

— ვინ არის აქ ალექსანდრე?

სანდრიკომ ყურები ცქვიტა და წინ გამოეჭიმა.

— ისეთი გრძელი სახელი გაქვს, რომ ბუმბერაზი მეგონე, შენ კი რა ერთი ციცქნა ყოფილხარ?!—სიცილით უთხრა ქალმა და ბებიას გამოგზავნილი ძღვენი გადასცა. სანდრიკომ თავისი ხელით ამოალაგა ვაშლები, კამფეტები, თბილი ხაჭაპურები. მერე აქეთ-იქით გაიხედა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველა შეათვალიერა. როცა სხვები ღებულობენ საჩუქრებს, მასაც უნაწილებენ. თვითონ ვისზე ნაკლებია? ხაჭაპურები დედებს ჩამოურიგა; კამფეტები ბიჭებს გაუნაწილა; ვაშლიც დაარიგა. დედებს ძალიან გაუხარდათ სანდრიკოს გულუხვობა.

თემურის და რაჩიკას საჩუქრად ფერადფერადი ფანქრები მოუვიდათ.

ბიჭებმა ხატვა დაიწყეს.

— მომე, მომე,—ხელგაწვდილი შეეხვეწა სანდრიკო მათ.

— მივცეთ თითო-თითო ფანქარი,—

ფანქრები სანდრიკომ და მის წინ გამოთქვა ჭიმა.

— ერთი ამას უყურეთ, რა ალალი ბიჭია!—გაეღიმა ნუცა ძიძას. სუფთა ქაღალდის ფურცლები მიუტანა სანდრიკოს და დაუყვავა: — აი, ამაზე დახატე!

ამ დროს კარი ფართოდ გაიღო. დიდი ქვაბით ფაფა შემოიტანეს, ჩაიდნით— ჩაი. დაფაცურდა სანდრიკო. კარადა გამოაღო, თეფშები და კოვზი მოიმარჯვა. ჭიქაც არ დაივიწყა. ზის და მადიანად შეექცევა, თანაც გულზე ხელს იცემს:



გადაწყვიტეს ბიჭებმა და ორივემ გაუწოდა წითელი და ყვითელი, კოხტად წვერწათლილი ფანქრები.

სანდრიკომ გაიხარა. თეთრად შეღებილ კედლებს ორივე ფანქარი ერთად გაუსვა და გრძელი ლიანდაგი გაიყვანა.

— თვალები კი დამიდგეს, ეს ვის დაუჯლაბნია?—გაჯავრდა ნუცა ძიძა.

— დედა, დედა, აი, მე! — გაუშვირა

— იფ, რა გემრიელია!

როცა ფაფის ჭამას მორჩა, ხელში ჩაით სავსე ჭიქა აიღო, პირთან მიიტანა და ერთბაშად წამოიძახა:

— გაუმარჯოს სანდრიკოს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარეოვანი იხვის ჭუჭული ტიმი

(ნაწყვეტი)

ერთხელ ტიმი ჭიშკარში გავიდა, მიიხედ-მოიხედა და მინდვრისაკენ მოუსვა.

— გესმის, ტიმ! — შეწუხდა დედა იხვი. — ნუ მიდიხარ ასე შორს!

— ნუ გეშინია, დედა! — დაიყვირა ტიმმა, — მალე დავბრუნდები! — და სირბილით განაგრძო გზა.

ირბინა, ირბინა და უცებ ღელე დაინახა.

— ბიჭოს, — თქვა ტიმმა, — რა კარგი საბანაოა! რა წმინდა წყალია! ჩვენი გუბურა ამას ვერც კი შეედრება.

ტიმმა ჯერ კენჭები დაათვალიერა ფსკერზე, მერე კი ის იყო ღელეში ჩასვლა დააპირა, რომ წყლიდან უცებ რალაც გრძელფეხა, თვალებგადმოკარკლული ურჩხული ამოძვრა.

— ვაი, ვინა ხარ? — იკითხა შეშინებულმა ტიმმა.

— მე ბაყაყი ვარ, — უპასუხა ურჩხულმა და ნაპირზე ამოხტა.

— ბაყაყი? — გაუხარდა ტიმს. — ჩინებულია. დედა ამბობს, ბაყაყები გემრიელები არიანო. მოდი, შეგჭამ!

— აბა, სცადე, — დაიყიყინა ბაყაყმა.

— ვცდი კიდეც! — შესძახა ტიმმა და ბაყაყისაკენ გაქანდა.

— ყი-ყი, ყუა-ყუა! — არხეინად წაიმღერა ბაყაყმა, მერე უცებ მარცხნივ გახტა ბალახში. ტიმი მიტრიალდა, ბაყაყმა კი ამჯერად მარჯვნივ ისკუპა; ტიმი დაედევნა, ბაყაყი შეხტა მაღლა, შემოაჯდა ზურგზე და დაუყვირა:

— აჩუ! აჩუ! აბა, მკვირცხლად!

შეშინებულმა ტიმმა ვახვახი მორთო:

— დედაა! ბაყაყს ჩემი შეჭმა უნდაა!

დედა იხვი შვილისაკენ გაქანდა. ბაყაყმა იხვი დაინახა თუ არა, წყალში ისკუპა, ბუყ-ბუყ-ბუყ! — ჩაიყურყუმელავა და თავს უშველა.

— გრცხვენოდეს, ბაყაყს ზურგით რომ ასეირნებ! — გაუჯავრდა ტიმს დედა იხვი. — ბაყაყი ხომ საჭმელია. აბა, სად გაგონილა, სულელო, მწვანე ბაყაყის ზურგით გასეირნება? ასეთი რამ თუ კიდევ ჩაიდინე, მიგტყეპავ!

— ბუყ-ბუყ-ბუყ! — დაიბუყბუყა წყალში ბაყაყმა.





თავჩაქინდრული ტიმი ბანცალ-ბანცალით გაჰყვა დედას. უცებ მან რაღაც უცნაური ნივთი შენიშნა და შედგა. ბალახში ღუმელის ძველი მილი ეგდო.

— ეს ხომ ნამდვილი გვირაბია!—გაუხარდა ტიმს.—რა კარგია! მე კი ორთქლმავალი ვიქნები.

დიდი ვაი-ვაგლახით შეცოცდა ტიმი მილში და იმწამსვე მთლად გაიმურა. რაც უფრო ღრმად მიიწევდა, მით უფრო შავი ხდებოდა. როცა მილიდან გამოძვრა, ნისკარტიც კი გაშავებოდა.

დედა იხვმა არ იცოდა, რომ ტიმი მილში შეძვრა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ტიმი წყნარად მისდევდა უკან. უცებ მიიხედა და...

— მიშველეთ! მიშველეთ!—დაივახვახა დედა იხვმა და თავისი ჭუჭულებისაკენ მოჰკურცხლა.—ჩქარა! თავს ვუშველოთ! უკან ვიღაც შავი მახინჯი მოგვდევს!

დედა იხვი და ჭუჭულები, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გარბოდნენ, ტიმი კი მისდევდა მათ და ყვიროდა:—მოიცათ! მოიცათ! ეს მე ვარ, ტიმი!

მაგრამ დედა იხვს და ჭუჭულებს არ ესმოდათ ტიმის ყვირილი. ისინი ხმამაღლა ვახვახებდნენ, ეცემოდნენ, დგებოდნენ და ისევ გარბოდნენ.

აგერ გუბურაც.

— წყალში ჩახტით!—გასცა ბრძანება დედა იხვმა.—ალბათ, შავმა მახინჯმა ცურვა არ იცის.

ჭუჭულები წყალში გადაეშვნენ და დედა იხვიც მათ მიჰყვა.

ტიმს რაღა მოუვიდა? ტიმმაც მიირბინა გუბურასთან, ისკუპა წყალში და ჩაიყურყუმელავა.

აი, უკვე წყლიდან ამოჰყო თავი.

შეხეთ, იგი კვლავ ყვითელი და ლამაზია!

დედა იხვმა ფრთხილად მიიხედ-მოიხედა.

— რა იქნა შავი მახინჯი?—გაიკვირვა მან.—თავი დაგვანება! გვეშველა! ტიმ, შენც აქა ხარ?

— დიახ, დედიკო,—დაიყვირა ტიმმა,—შავი მახინჯი მე გავაგდეშიში ნუ გაქვთ! თქვენს თავს არავის დავაჩაგვრინებ!

— ყოჩაღ, ტიმ!—ერთხმად შესძახეს ჭუჭულებმა, — მართლაც ჭკვიანი და მამაცი ხარ!

ე. ბლაიგონი

ბ. რაბიე

თარგმნა თ. გორდელაძემ

ნახატები ბ. ფოცხიშვილისა

ჯ. გოგიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნამცეცა

ზღაპარი

Იყო ღარიბი ცოლქმარი. ჰყავდათ ერთი მეტისმეტად პატარა ბიჭუნა, რომელსაც ნამცეცას ეძახდნენ.

ნამცეცა მოხერხებული და მარჯვე იყო. მუდამ იმას ცდილობდა, მშობლებს დახმარებოდა.

ერთხელ მამამ ნამცეცა ყანაში წაიყვანა. ურმის წინ თოლია კუდის ქიცინით მიცუნცულებდა, კოფოზე ნამცეცა იჯდა, ხელში პატარა სახრე ეჭირა და მხიარულად მღეროდა:

შენ დილის მზეო ლამაზო,
ცხოველოსხივებიანო,
პატარა გლეხი მოგმართავ,
ამო, არ დაიგვიანო!

ყანაში მისვლისას მამამ უთხრა:

— შვილო ნამცეცა, წყაროდან ცივი წყალი მომიტანე და მერე ხარებს უდარაჯე, ყანაში არ შეიპაროონ.

— კარგი, მამა,—უპასუხა ნამცეცამ, პატარა ხელადას ხელი წამოავლო და თოლიასთან ერთად წყაროსაკენ გაიქცა.

ნამცეცას ხელადით მოტანილი წყალი ერთ ყლუპადაც არ ჰყოფნიდა ოქროპირს, მაგრამ იცოდა, ნამცეცას როგორ უყვარდა დასაქმება.

ვიდრე მამა სიმინდს თოხნიდა, ნამცეცამ ხარები მდინარის პირას საბალახოდ წაიყვანა და თევზაობას შეუდგა. აი, ანკესს თევზი მოედო; ეწევა ბიჭი, მაგრამ მოზრდილი თევზი არ ნებდება, თავისაკენ იზიდავს, საცაა წყალში ჩააგდებს ნამცეცას.

— თოლია, მიშველე!—წამოიძახა ნამცეცამ.

— ჰამ, ჰამ,—გამოეპასუხა თოლია და ხალათში ჩააფრინდა. მაგრამ თევზი მათზე უფრო ღონიერი აღმოჩნდა. ნამცეცამ ტყაპანი მოადინა წყალში. ანკესს კი მაინც ხელი არ გაუშვა, თევზს მიჰყვება. თოლიამ აღარ იცის, რა ქნას: გაიქცეს ყანაში და პატრონს შეატყობინოს, თუ მეგობარს უშველოს. უეცრად ადგილიდან მოწყდა, წყალში შეცურდა, ნამცეცას ხალათში სწვდა, ზურგზე შეისვა და ნაპირისაკენ გამოსწია. რის ვაი-ვაგლახით გამოვიდნენ ნაპირზე და თევზიც გამოიყვანეს. მაგრამ ღონიერი ღლავი ახლოს არ იკარებდა, სხმარტალებდა და ისევ წყალში მიიწევდა.

— არიქა, თოლია, ჩქარა მამას დაუძახე,—შეეხვეწა ნამცეცა.

— ჰამ, ჰამ,—მიუგო თოლიამ, პატრონთან ქოშინით მიირბინა და შარვლის ტოტში პირი ჩაავლო.

— რა იყო, თოლია, რა ამბავია?

— ჰამ, ჰამ,—პასუხობს ძაღლი და თან ანიშნებს, მომყევიო.

ოქროპირი თოხით ხელში მაშინვე გაჰყვა თოლიას.

ამასობაში ნამცეცამ ცულს ხელი წამო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავლო, თევზთან მიირბინა, ცული ჰაერში შემართა და თავში უნდოდა დაეკრა, მაგრამ თევზმა პირი დააღო და ნამცეცა თავის ცულიანად თვალის დახამხამებაში გადაყლაპა.

მივიდნენ მდინარესთან და რას ხედავს ოქროპირი? დიდი ღლავი სადაცაა წყალში უნდა ჩახტეს და ნამცეცა კი არსადა ჩანს.

— ვაიმე, შვილო ნამცეცა, სადა ხარ?

ამ დროს თევზმა პირი დააღო და ნამცეცას ხმაც ამოჰყვა:

— აქა ვარ, მამა!

— რა მეშველება!—წამოიყვირა ოქროპირმა და ტირილი დაიწყო. დაღონდა თოლიაც. თევზის გარშემო ყეფით დარბოდა და არ იცოდა, როგორ დაეხსნა მეგობარი. ამ დროს ხარებმა დაიზმუვლეს, ეძგერნენ თევზს და მუცელზე გაფატრეს. მუცლიდან ღლავის გადაყლაპული პატარა თევზები ამოცვივდნენ და მაშინვე სიხარულით წყალში გადაეშვნენ. ნამცეცამაც ამოჰყო თავი, ცულით გზას მიიკვლევდა და თან მხიარულად მღეროდა:

მოვალ, მოვალ, მოვდივარ
პაწაწინა ნამცეცა,
მშობლებსა და მეგობრებს
გულს არ დავწყვეტ არც ერთსა.

საღამოს ვეებერთელა თევზი ურემზე დიდი გაჭირვებით დაუდვეს. ოქროპირი მიუძღოდა ურემს, თოლია უკან მიჰყვებოდა და თევზის გადმოშვერილ მოქანავე კუდს ხალისიანად შესცქეროდა. ნამცეცა კოფოზე იჯდა და არხეინად მღეროდა:

ნამცეცა ვარ პატარა,
თევზმა კუჭით მატარა,
ხარები და თოლია
რა ერთგული მყოლია.

შინ მისვლისას ოქროპირმა შესძახა:

— დედაკაცო, გარეთ გამოდი, ნახე, შენმა ნამცეცამ რა მოგიტანა! პატარა თუ არის, იმიტომაც ვერ აჯობა უზარმაზარ ღლავსა!

დედამ შვილი გულში ჩაიკრა, გადარჩენა და გამარჯვება მიულოცა.

თევზი დაჭრეს, მოხარშეს, თვითონაც ჭამეს და ჩვენც გვაჭამეს!

ნახატები **გ. თოთიბაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბილო

რ. მურესანუ

ნახატები შ. ცხადაძისა

ლუნლუდამ და პაწიამ,
ოქროსფერმა წიწილამ
კვერცხი გამოამტვრია
და საქვეყნოდ იწივლა.

მზეზე გათბა და მწერებს
ომი გამოუცხადა,—
დაიჭირა ბუზი და
გადასანსლა უცბადა.

ასე უცებ ცხოვრება
სურს რომ გაიადვილოს,
ჯერ არ დაბადებულა,
უკვე ბუზზე ნადირობს,

თარგმანი რუმინულიდან ჯ. ჩარკვიანისა

ბებოს ჯოხი

— შვილო, სად გაბდამიკარგავ ხოლმე იმ ჯოხს, მიპოვე ჩქარა!—ეძებს ბებო ჯოხს და ვერ უპოვია.

— ჯოხი კი არა ცხენია, ბებო, ცხენი!—უსწორებს დათო.

— ცხენი იყოს, კარგი, ოღონდ მოიძებნე, უიმისოდ, ხომ იცი, მიჭირს სიარული!

ბებოც და შვილიშვილიც დაეძებენ ჯოხს ეზოში, ოთახებში, კარადის უკან, ტახტის ქვეშ, ბუხარშიც კი შეიხედეს.

ბებოს ჯოხი ორ მოვალეობას ასრულებს: ბებოსათვის ჯოხია, დათოსათვის—ცხენი.

ეს არის მხოლოდ, დათომ ცხენის მოვლა-პატრონობა არ იცის; აჯირითებს, აჯირითებს და შემდეგ სადღაც მიაგდებს. მოდი და ეძებე მერე!



— ასე არ გამოგვადგება!—ამბობს გაჯავრებული ბებო,—თუ გინდა, რომ ის ჯოხი შენი ცხენიც იყოს, მისი მოვლა უნდა ისწავლო; მოდი, მიგუჩინოთ ერთი ადგილი დასაბმელად, მაშინ აღარც შენ იწვალებ, აღარც მე; შენი ცხენი თავის ნებაზე აღარსად გაიქცევა. ჰა, რას იტევი?

— ეს რა კარგი რამე მოიგონე, ბებო!—გაეხარდა დათოს.

ჯოხს აივნის კუთხეში მიუჩინეს ბინა. ჰოდა, რამდენი ხანია უკვე, აღარც დათოს ეკარგება ცხენი, აღარც ბებოს—ჯოხი!

მ. ბოლქვაძე

ნახატები **მ. როინიშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვის კენჭის ნაამბობი

ალბათ, თქვენც გაგიგონიათ სიტყვები: „მაგის ხნის ქვაც არ არისო“. მართლაც და ჩემზე დიდი ხნისა დედამიწაზე არავინ მეგულება. მე, პაწაწინა კენჭს რომ მხედავთ, ვინ იცის, რამდენიმე ასეული მილიონი წლისაც კი ვიყო. მაშ, რა გგონიათ! ჯერ რამდენი ასეული მილიონი წელი დედამიწის ქერქის ქვეშ ვიყავი ჩამალული, დიდ სიცხეში გამდნარ-გავარვარებული. შემდეგ ერთ-ერთმა ბობოქარმა ვულკანმა ტოლებს მომაშორა და ჰაერში ამომისროლა. აქაც რამდენიმე მილიონი წელი მთებს შევაფარე თავი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მდინარის ტალღებმა ჩემამდეც მოაღწიეს, მომგლიჯეს ჩემს მეგობრებს და კოტრიალ-კოტრიალით ზღვისაკენ გამაქანეს. თანდათან დავილიე მდინარის კალაპოტზე ხოხვით.

ცოტა ამოვისუნთქე, როდესაც ზღვის ნაპირზე გამოვირიყე. ტალღამ სილაში გამხვია. დაღლილს ტკბილად მიმეძინა, მაგრამ ხანმოკლე იყო ჩემი დასვენება; კვლავ წამოვიდა ტალღა და ნაპირისაკენ გამასეირნა. დიდხანს მატარა წინ და უკან, ალმა-დალმა, გვერდები შემომილეწა და ბოლოს ნაპირზე გამომრიყა. ეჰ, აქეთ-იქით უთავბოლო სეირნობამ დამაპატარავა, თორემ განა სულ ასეთი პაწაწინა ვიყავი!

ი. ჯიბლაძე



ფიქრი

ყველა კარში გამოსულა,
შენ კი გცივა, მშიშარავ,
თოვლის პაპა გავაკეთოთ,
წამო, არა გიშავს რა!
უი, როგორ დამავიწყდა,
ვერ ჩაგაცვი წინდები,
აი, თურმე რატომ გცივა,
ღუმელს რად ვერ სცილდები!

ალ. ფაბაგაძე

სათამაშო კურდღელი

ნ. გვარიშვილი

ჩემს ძამიკოს სათამაშო
მოუტანა მამიკომ:
პაწაწინა ბაჭია ზის
და უჭირავს სტაფილო.

ბიჭუნიამ გაიხარა,
უმალ პირში წაიღო.
დავუშაღე, ისევ მიაქვს,—
ჯიუტია ძამიკო.

დედამ მითხრა:—ჰქონდეს. შვილო,
ექავება ღრძილები,
და სულ მაღე ამოუვა
თაგუნიას კბილები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკიდოები

ლ. ჭიჭინაძე

ავთოს დედა ზამთრისათვის ბევრ ხილს ინახავს ხოლმე.

ავთოს ხილის მადა კარგი აქვს, მაგრამ სადილს კი ალარ მიირთმევს. ამიტომ სადილობისას დიდი დავა იმართება დედასა და შვილს შორის.

ერთ კვირა დღეს ავთო შინ მარტო ალმოჩნდა. წიგნის კითხვა და წერა რომ მობეზრდა, ხილის ჭამის გუნებაზე დადგა. აივნის კედელზე ჩამოკიდებულ აკიდოებს ქალალდები ჰქონდა ჩამოფარებული. მიიდგა სკამი, მისწვდა, აკიდოები ჩამოიღო, კედელზე კი მხოლოდ ქალალდი დატოვა.

ნახატები ბ. როინიშვილისა

დედამ ნასადილევს ყოველთვის რაიმე ხილის მოტანა იცოდა. ჯერი ყურძენზე მიდგა. მივიდა კედელთან ყურძნის აკიდოს ჩამოსალებად, ასწია ქალალდი და გაოცდა:

— ბიჭო, მთელი ყურძენი როგორ შეჭამე?

— არ შემიჭამია!

— აბა, თავისთავად გაქრა?

— არა, ჭერში ავიტანე, ყოველდღე რომ არ მეცქირა!—მიუგო ავთომ.

ჩემი დედოფალა

აკ. მეწაძე

დიდით ადრე ვსაუზმობ,
ნებით, განა ძალად.
ამ დროს ისევ ძიღშია
ჩემი დედოფალა.
გოგი ქარხნებს აშენებს,
მე კი ბოსტანს ვკვალავ,
ამ დროს ხის ქვეშ ჩრდილში წევს
ჩემი დედოფალა.
დღეს თუ ვუთმენ აგრე,
ვერ მოვუთმენ ხვალაც:
გავალვიძებ ადრე
ზარმაც დედოფალას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეოლი





გასწავლი

ამირანს ვკითხე:—რა დროა,
წადი, საათი ნახე!—
წავიდა, გაქრა ბიჭუნა,
ალარ გვიჩვენა სახე.
თურმე რა: ცნობა არ იცის,
სირცხვილით ვერც კი ამხელს.
აქეთ-იქიდან ვეძახით:
—გასწავლით, საით წახვალ!

ზ. შერაზადიშვილი

ე. ქახაძე

კბილი

— ბავშვებო, ბავშვებო!... მოდით, რა გაჩვენოთ!—გასძახა ირამ ლენას და გუგულის.—ვინ გამოიცნობს, რა მაქვს მარჯვენა ხელში?—და მომუჭული მარჯვენა ცხვირწინ დაუტრიალა.

— რა უნდა ჰქონდეს?!—შეეკითხნენ ერთმანეთს ლენა და გუგული.

— თხილი!—დაიძახა ლენამ.

ირამ უარის ნიშნად თავი გადააქნია.

— ვერც შენ გამოიცან! გაჩვენოთ?—ირამ მუჭი გაშალა და რა ნახეს?—

კბილი!

არც გაუკვირდათ და არც არა.

— მერე რა!—თქვეს.

ირა გაჯავრდა.

— მერე რა და დედამ თქვა, წინა კბილებს რომ დაიცვლი, სკოლაშიც წახვალო!

ნახატები ბ. ფოცხიშვილისა

ამოცანა

რომელია მძიმე,
გამოიცან, აბა,
კილოგრამი ქვა თუ
კილოგრამი ბამბა?!

ზ. ხაკთასი

გამოიცანით, რამდენი წლისაა წერო?!

(1+2+6+4)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფინია

დ. ხურძე

ნახატები შ. ცხადაძისა

სარკეს უყეფს ფინია,
უყეფს, თან ეშინია.
აღბათ ეცნაურება
ძაღი გრძელ-გრძელყურება.
ტყუპს შესცქერის სახეში,
როგორ გაჩნდა სარკეში?
ხან დაუღრენს ბრაზითა,
ისიც წარბებს აზიდავს.
დაცუცქდება სარკესთან,
კუდს დაკეცავს სამკეცად.
ხან თათს უწვდის აღერსით,
ხან კბილს აჩენს აღესილს.
ხან სთხოვს: ჩემო ფინია,
გამო, ნუ გეშინია!

სსრ საბ. საგ. ს
საჯარ
ბიბლიოთ
ბილ

გამოცანა

ორმა მამამ და ორმა შვილმა სამი კურ-
დღელი მოჰკლეს; თითო იმათგანს კი თითო
კურდღელი მიჰქონდა შინ. როგორ?

(ვსვამდაფაფამ ეაბინგ ეამ ოდოგ 'ოდოგ)

(„ნაკადულიდან“)

ყდის მხატვრობა ეკუთვნის ალ. ბანძელაძეს

მაკეტი—გ. ფოცხიშვილისა

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემახ ოცდამეათე წელი

ფასი 2 მან.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 2, февраль 1957 г. Тбилиси. Просп. Плеханова 91.
საბლიტბამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრსპ. 91. ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 653 სტამბის შეკვ. № 1344|28
ტირაჟი 20.000. უე 01202 ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/I-57 წ. ტექსტი ამყობილია პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“
სტამბაში. ყურნალი დამზადებულია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში

6·60/38

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციყვები-ბრიყვები

ნახატები ა. ქანდელაკისა